ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

28 მარტი, ხუთშაბათი, 1991 წ.
№ 56 (10 470) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



# ამჯერად უხმაურო ტრასა

**ჩვეულებრივ, თბილისთან ახლოს მდებარე იალღუჯის სარბოლო ტრასებისა და მისი მიდამოების სიმყუდროვეს სხვადასხვა სიძლიერისძრავიანი მოტოციკლებისა თუ კარტინგების გამაყრუებელი ხმაური არღვევს. და რაც უფრო დაძაბულია ბრძოლა, მით უფრო ყურთასმენის წამლებია ეს ხმაური. გუშინ კი, როცა ამ ბილიკებს „შევარდენის" ველოსიპედისტები „დაეპატრონენ", მოძალებული გაზაფხულის დამათრობელი სურნელი იდგა, რომლის შეგრძნობას არც მანქანების გამონაბოლქვი, არც ხმაური ხელს არ უშლიდა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ბრძოლა ტრასაზე სრულიად უკომპრომისო და „მინორული" იყო...**

**როგორც** კი ამ საზოგადოების რესპუბლიკური პირველობის დასკვნითი დღის — კრიტერიუმის მონაწილე გოგოები სტარტს მოსწყდნენ, წინ გაიჭრა სამეული, რომელშიც იყვნენ ქუთაისელი ელისო დოხნაძე, ნატა მსხილაძე („მართვე") და ქობულეთელი იანა პრიახინა (საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის სტელა პრიახინას უმცროსი და). სამეულმა ასეთივე თანამიმდევრობით 6-ჯერ განვლო ბეტონის 4 კმ-იანი წრე, ფინიშიც ასევე გადაკვეთა, გამარჯვება კი ქობულეთელ სპორტსმენს დარჩა, რადგან მისი მეტოქეები უკონკურსოდ გამოდიოდნენ.

გუშინდლამდე კი სცენარი შეჯიბრებისა, რომელშიც თბილისის ორი გუნდის, ლაგოდეხის, ქარელის, ქუთაისის, აფხაზეთისა და აჭარის 92 მოზარდი სპორტსმენი გამოდიოდა, ასე „განვითარდა" (უნდა ითქვას, რომ ამ ოთხდღიანი პირველობის ფაბულა, საკმაოდ უჩვეულო იყო): პირველ დღეს (პროლოგი) 3 კმ-იან ალმართზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მრბოლები და ბიჭებში (1975-77 წლებში დაბადებულნი) უძლიერესი იყო რუსთაველი პეტრე პოტაპოვი, რომელმაც 7.45,20 აჩვენა. მეორე ადგილზეა ლაგოდეხელი თემო ¹ალტიევი — 8.26,7. მესამეზე — რუსთაველი რუსლან კეხბა (8.28). გოგონების პირველი სამეული: იანა პრიახინა (10.30,81), ნატალია ქურინა (10,32,54) და ანჟელა ალეშჩენკო (11.31,81). ჭაბუკთა (1973-74 წ.წ. დაბადებულნი) შორის პრიზიორები გახდნენ თემურ აქუბარდია (ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელი) — 7.24,62, სტეფან შმაიუნოვი — 7.25,17, ანდრო ჯიოევი— 7.30,40 („შევარდენი"). სამივემ 28 კმ-ზე დაყოფილი სტარტით ასპარეზობაშიც ისახელა თავი. ცხრილშიც ასეთივე თანმიმდევრობით განლაგდნენ. აქუბარდიამ რბოლა მოიგო შედეგით 40.58, შმაიუნოვმა და ჯიოევმა შესაბამისად 41.20, 42.44 დროში განვლეს მანძილი. იგივე სურათი გამეორდა გოგოების რბოლაშიც: პრიახინა — 24.01.67, ქურინა — 24.32,26, ალეშჩენკო — 26.10,78.

წყვილთა რბოლაში ასეთი სურათია: I ადგილი პრიახინა-ქურინას ხვდა შედეგით 44.14,13; ბიჭები: I იგორ ჩიპურნოი-რაფაელ მოგუსევი (ქობულეთი) 37.22,28; II — სოსო მჭედლიშვილი — თემურ სალტიევი (ლაგოდეხი) — 37.22,41, III — რუსთაველი პეტრე პოტაპოვი — ელდარ ალიევი — 38.14,66.

ჭაბუკებში I ადგილი მოიპოვა აქუბარდია-კახაბერ ხარაბაძის (იგი უკონკურსოდ გამოდიოდა) წყვილმა — 35.24,46. შემდეგ არიან შმაიუნოვი — ჯიოევი — (35.36.59) და ვლადიმერ პეტრიშჩენკო-ალექსანდრ ლუქსაკოვი (რუსთავი) — 37.36,56.

ჯგუფურ რბოლაში უძლიერესნი იყვნენ: ბიჭებში — სალტიევი, მჭედლიშვილი, კეხბა. ჭაბუკებში — აქუბარდია, ბოგუსევი, ჯიოევი.

გუნდურ პირველობაში ქობულეთელმა ველოსიპედისტებმა იმარჯვეს, მეორე ადგილზე არიან რუსთავის, ხოლო მესამეზე — ლაგოდეხის წარმომადგენლები.

გამარჯვებულები და პრიზიორები ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს ასპარეზობის სპონსორებმა სატრიკოტაჟო-საგალანტერეო გაერთიანება „ბისონმა" (დირექტორი ნოდარ ჭყონია) და თბილისის სინთეზურ ნაკეთობათა ფაბრიკამ (ამირან შუბლაძე).

**ჟ. უნბიაძე.**

**სურათზე: გუშინ იალღუჯის ტრასაზე.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

# ჭიდაობა

## ტოლიდოსა და შტუტგარტში

**თავისუფალი** სტილის მოჭიდავეებს უახლოეს ხანს ორ დიდ ტურნირში მოუწევთ გამოსვლა. ერთი მათგანია მსოფლიო თასი, რომელიც აპრილის პირველ რიცხვებში ეწყობა ტოლიდოში (აშშ), მეორე კი ევროპის ჩემპიონატი (30 აპრილი — 2 მაისი), რომელსაც გერმანიის ქალაქი შტუტგარტი უმასპინძლებს.

სსრკ ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ივან იარიგინმა კორექტივები შეიტანა გუნდის შემადგენლობაში. მსოფლიო თასზე სხვებთან ერთად გაემგზავრება ორი მოჭიდავე საქართველოდან: ლერი ხაბელოვი (100 კგ) და ზაზა თურმანიძე (130 კგ). აპრილის მიწურულს კი ევროპის პირველობაში მონაწილეობას მიიღებს დავით გობეჯიშვილი (130 კგ).

**საკავშირო ჩემპიონატი კალათბურთში ● ვაჟები**



# ორივე ჯგუფში

**კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატში ახალი ტურის მატჩები გაიმართა.**

**„ა" ჯგუფი.** „უზსტროიმექანიზაცია" (ტაშკენტი) — ცსკა 94:114, „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „სპარტაკი" (ლუგანსკი) 74:68, „კალევი" (ტალინი) — ასკ (ალმა-ათა) 76:69.

**„ბ" ჯგუფი.** „დინამო" (ბიშკეკი, ყოფილი ფრუნზე) — „კრასნი კოტელშჩიკი" (ტაგანროგი) 106:88, „ლოკომოტივი" (ნოვოსიბირსკი) — „შახტიორი" (დონეცკი) 88:70, „ავტოდოროჟნიკი" (სარატოვი) — რტი (მინსკი) 92:86, „სტროიტელი" (მოსკოვის ოლქი) — ასკ (რიგა) 111:96, „დინამო" (ბიშკეკი) — „შახტიორი" (დონეცკი) 104:83, „ლოკომოტივი" — „კრ. კოტელშჩიკი" 94:93.

**გათამაშების ცხრილი**

**„ა" ჯგუფი**

| | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „სპარტ." (ლენინგრ.) | 15 | 5 | 35 |
| ასკ (ალმა-ათა) | 13 | 7 | 33 |
| „ბუდივ." (კიევი) | 12 | 9 | 33 |
| „კალევი" (ტალინი) | 14 | 3 | 31 |
| ვეფ (რიგა) | 13 | 5 | 31 |
| ცსკა | 11 | 9 | 31 |
| „დინამო" (მოსკ.). | 12 | 6 | 30 |
| „სპარტ." (ლუგანსკი) | 7 | 14 | 28 |
| „სტროიტ." (სამარა) | 6 | 16 | 28 |
| ასკ (კიევი) | 7 | 11 | 25 |
| ნკი (ნიკოლაევი) | 5 | 14 | 24 |
| „უზსტრ." (ტაშკენტი) | 2 | 18 | 22 |

• • •

**„ბ" ჯგუფი**

| | | | |
|---|---|---|---|
| რტი (მინსკი) | 17 | 2 | 36 |
| „დინ." (თბილისი) | 16 | 4 | 36 |
| „ლოკომ." (ნოვოს.) | 11 | 10 | 32 |
| „ავტოდორ." (სარატ.) | 11 | 10 | 32 |
| „კრ. კოტ." (ტაგანრ.) | 11 | 9 | 31 |
| „იმპულსი" (კრასნ.) | 11 | 9 | 31 |
| ასკ (რიგა) | 11 | 8 | 30 |
| „შახტ." (ნერიუნგრი) | 9 | 11 | 29 |
| „დინ," (ბიშკეკი) | 6 | 16 | 28 |
| „შახტ." (დონეცკი) | 5 | 17 | 27 |
| „სტროიტ." (მ. ოლქი) | 6 | 14 | 26 |
| „სტროიტ." (ირკ.) | 7 | 11 | 25 |

## ინფორმაცია

**„შრომითი რეზერვების"** ცენტრალური საბჭოს პირველობაზე სპორტულ ტანვარჯიშში, რომელიც ტერნოპოლში ჩატარდა, თბილისელმა ილია ვაშაკიძემ აბსოლუტურ პირველობაში მეორე ადგილი დაიკავა. საქართველოს წარგზავნილებმა ცალკეულ იარაღებზეც წარმატებით იასპარეზეს — ტაიჭზე ვარჯიშში ვალერი ოგანეზოვი უძლიერესი იყო, ორძელზე — მეორე, ხოლო რგოლებზე — მესამე. ი. ვაშაკიძემ ტაიჭზე მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო ნიკოლოზ ბარამიძემ ამავე იარაღზე — მეორე.

ი. ვაშაკიძე და ნ. ბარამიძე მიწვეულნი არიან საკავშირო ნაკრებში და აპრილში იასპარეზებენ მოსწავლეთა მსოფლიო გიმნაზიადაში, რომელიც მეორედ გაიმართება საფრანგეთში.

## დაფუძნდა საქალაქო ფედერაცია

**ახლახან,** საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის სხდომაზე, დაფუძნდა ამ სახეობის თბილისის საქალაქო ფედერაცია, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს რესპუბლიკის მკლავჭიდის ფედერაციის საბჭოსა და საქართველოს ნაკრების წევრი ზურაბ კოპაძე.

**დამოუკიდებელი სპორტული კონტაქტები**



# ნარდი ქართული თამაშია...

**საქართველოს** ნარდის ეროვნული ფედერაცია თავისი არსებობის მხოლოდ მეორე წელიწადს ითვლის და უკვე ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება მოასწრო. ნარდის პოპულარობა საქართველოში ადრეული საუკუნეებიდან მოდის, მაგრამ ამჟამად ჩვენთან ნარდის ნამდვილი ბუმია. ნარდმა, როგორც სპორტის შედარებით ახალმა სახეობამ, უკვე საქართველოს ყველა რეგიონი მოიცვა და ქართველი მონარდეები საერთაშორისო ასპარეზზეც ცდიან ძალებს. პირველი სერიოზული განაცხადი საქართველოს მონარდეებმა შარშან გააკეთეს, როდესაც დეკემბერში გამართულ საკმაოდ წარმომადგენლობით ღია ჩემპიონატში უამრავ უცხოელ მონაწილეებთან პაექრობაში შესანიშნავად გამოვიდნენ. ასე იყო ამჯერადაც — შვეიცარიის საკურორტო ქალაქ სანტ-მორიცში დამთავრებულ ევროპის ღია პირველობაზე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს ქართველმა მონარდეებმა, რომლებმაც მთელ მსოფლიოს დაანახეს თავიანთი მაღალი კლასი. სწორედ ამ უკანასკნელ შეჯიბრებაზე და უახლოეს სამომავლო გეგმებზე გვესაუბრება ევროპის ღია პირველობის ერთ-ერთი მონაწილე, **საქართველოს ნარდის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ბატონი მიხეილ სურგულაძე:**

14-დან 10 მარტამდე მსოფლიოს ყველაზე ფეშენებლურ ზამთრის კურორტ სანტ-მორიცში გაიმართა ევროპის ღია პირველობა, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 128 უძლიერესმა მონარდემ მიიღო მონაწილეობა. აქ იყო მსოფლიო ნარდის მთელი ელიტა, გარდა სამი მონარდისა, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზების გამო, ვერ მოახერხეს ამ ულამაზეს ქალაქში ჩამოსვლა. ესენი არიან: მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ბილ რობერტსი (აშშ), 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ჰალ ჰაინრიხი (კანადა) და

იხ. გვ. 2 გვ

**სურათზე: სანტ-მორიცი, „ინტერნაციონალური ტურნირი". მარცხნივ — რევაზ ხოხაძე.**

ამიერკავკასიის თასის გათამაშება კლასიკურ ცხენოსნობაში

# მონდომებაც კარგია, სიხარულის გრძნობაც, ოღონდ... საასპარეზოსაც უნდა მივხედოთ



**ამიერკავკასიის** თასის გათამაშებას კლასიკურ ცხენოსნობაში გაზაფხულის პირზე შემობრუნებულმა ზამთრის სუსხმა და დიდთოვლობამ თავისი დაღი დააჩნია. ამ ტრადიციულ ასპარეზობაზე თბილისში ცხენების ჩამოყვანა ვერ შეძლო სომხეთის გუნდმა, რომელშიც ბოლო წლებში ყოველთვის ძლიერი კონკურისტები და სამჭიდელები გამოდიოდნენ (ასე რომ, თადარიგის დასაჭერად ადრე ჩამოსული სომეხი მწვრთნელები ძალაუნებურად მაყურებლის როლში აღმოჩნდნენ). „ლელოს" მკითხველებმა იციან, რომ მარტის ავდარმა, სამწუხაროდ, საგრძნობი ცვლილება შეიტანა შეჯიბრების პროგრამაში: სამჭიდი თავისი კამერული ვარიანტით — ორჭიდით შეიცვალა (გაწვრთნილობა, დაბრკოლებათა გადალახვა); ცხადია, კონკურისტებმაც ღია მოედნიდან მანეჟში გადაინაცვლეს.

აქვე უნდა შევნიშნოთ — ასპარეზობის მასპინძლებს ცდა არ დაუკლიათ, სპორტსმენებს ასეთ პირობებშიც რომ, მისცემოდათ მხედრული ოსტატობის გამოვლენის შესაძლებლობა. ვგულისხმობთ დაბრკოლებათა გადალახვის (როგორც კონკურისტების, ისე ორჭიდელების) რთულად, გონებამახვილურად შედგენილ მარშრუტს (პარკურს), რომლის ნორმატიულ დროში დაძლევა მრავალ ტაქტიკურ თუ ტექნიკურ სირთულეს უქმნიდა მხედრებსაც და მათ ბედაურებსაც. სიახლე იყო გამარჯვებულთათვის ფულადი პრიზების დაწესებაც (50 მან); ეს საპრიზო ფონდი რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტმა გაიღო.

გაწვრთნილობაში (საშუალო პრიზი № 2) გამარჯვებულთა სამეული ამგვარად წარმოგვიდგა: ირინა კოზინა, იუნონა კოჟინა, ოქსანა მისკელი, ხოლო დიდ პრიზზე ამავე სამეულის თანმიმდევრობა ასე შეიცვალა — მისკელი, კოზინა, კოჟინა.

ორჭიდში — როგორც ძირითადი, ისე ახალგაზრდა ცხენებით — პირველი დღის (გაწვრთნილობის) შემდეგ ლიდერობდა გამოცდილი მხედარი — საქართველოს განათლების სამინისტროს საცხენოსნო სკოლის მწვრთნელი ვიქტორ გოგლიძე. მას კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ (ძირითად ცხენებზე) ოჩამჩირის საცხენოსნო კლუბის უფროსი მწვრთნელი ოთარ ნარმანია (შარშან თავისი ინგლისურ-თრაკენულ ულაყ პოდოლსკით ბრწყინვალედ გაიმარჯვა ანალოგიურ ასპარეზობაში) და თბილისის საცხენოსნო ბაზის მხედარი დავით გაგლოევი. მაგრამ დაბრკოლებათა რთული და „სწრაფი" მარშრუტის დაძლევა ყველაზე უკეთ თბილისის საცხენოსნო ბაზის (მთავარი მწვრთნელი — კირიაკ გაშიბაიაზოვი) ახალგაზრდა მხედრებმა შეძლეს და პირველი სამეულიც მათვე შეადგინეს: ხვიჩა ტუსიშვილი (ცხენი ქსარი), დ. გაგლოევი (ექსუდატი), ზურაბ ჯინჭარაძე (ტიგრი), აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ამ სამეულმა „იკმარა" დროის ნორმატივი (81 წ.), ამასთან, ტუსიშვილმა და ჯინჭარაძემ უშეცდომოდ იასპარეზეს ახალგაზრდა ცხენებითაც (სულ მონაწილეობდა 5 სპორტსმენი): პირველი ადგილი კვლავ ტუსიშვილმა (ხოლმი) მოიპოვა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ აზერბაიჯანელი სტუმრები — დიმიტრი ჩერნოვალოვი და სამედ მუსაევი.

დაბრკოლებათა გადალახვაში პირველმა შეჯიბრებამ (გახსნის პრიზზე, 120–130 სმ.) მოულოდნელი შედეგი შემოგვთავაზა: ასპარეზობის დასაწყისშივე მოიხსნა (3-ჯერ ცხენის გაურჩებისთვის) ზაზა გონჯილაშვილი (პიკეტი), საკმაოდ ბევრი საჯარიმო ქულა დაუგროვდა თბილისის საცხენოსნო სკოლის ლიდერს ალექსანდრე ჭელიძეს (ხორსაჟი, 15,75), ზღვრული დროის გადაცილებისთვის მოიხსნა ჭაბუკთა შარშანდელი საკავშირო ასპარეზობის პრიზიორი ხვიჩა ათანელიშვილი (გამოდიოდა გრაფიკსით, რომელმაც შარშან, ვ. შელიას მხედრობით, ამიერკავკასიის თასის ახალგაზრდა ცხენების კონკურში გაიმარჯვა), სამჯერ გაურჩდა ზუგდიდელთა საუკეთესო ცხენი ზაეზდნიკი, რომელზეც ამჯერად მისი ნაცადი მხედრის ოთარ ჯაფარიძის ნაცვლად ჭაბუკი მამია შონია იჯდა... მაგრამ იყო კარგი შედეგიც — დიმიტრი გაშიბაიაზოვი (საცხენოსნო ბაზა, დევიზი, 8,75), ნოდარ სიფრაშვილი (სკოლა, დაკარი, 4), მერაბ სამუშია (ოჩამჩირე, ხალკაბადი, 5,25), შარშანდელი საკავშირო ასპარეზობის ჩემპიონი კონკურში ზვიად ანჩაბაძე (გალი, რაზბორი, 3) და, რაც მთავარია, უჯარიმოდ გამოვიდა გამარჯვებული ოჩამჩირელი მხედარი ჯონი მარხულია (რაპორტი), მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ ანჩაბაძე და სიფრაშვილი. ახალგაზრდა ცხენებით ამავე შეჯიბრებაში გაიმარჯვა ფოთელმა სერგეი ზინენკომ (უშეცდომოდ, ცხენი გაისმა), მეორე იყო ვალერი შელია (ასოციაცია „ტოროლას" ბუდიონური ულაყი ბანკეტი), მესამე — საცხენოსნო სკოლის ჭაბუკი მხედარი რეზო მიტიჩაშვილი (ყაბარდოული ულაყი გრაფი).

„ამიერკავკასიის თასზე" (130-150 სმ., ორ ჰიტად) კვლავ ოჩამჩირის გუნდის წევრმა, ამჯერად მერაბ სამუშიამ გაიმარჯვა (ხალკაბადი, 7,5). აღსანიშნავია, რომ მან მეორე ჰიტი წმინდად გაიარა, მხოლოდ დროის გადაცილებამ დაუმატა 0,75 საჯარიმო ქულა. ასევე უჯარიმოდ იასპარეზა მეორე ჰიტში ანჩაბაძემ, მაგრამ პირველში „აღებულმა" 12 ქულამ იგი საპრიზო სამეულის მიღმა დატოვა. მომდევნო ჰიტის უშეცდომოდ დასრულების საუკეთესო შანსი ჰქონდა ზემოთ მოხსენიებულ მ. შონიას (თანაც პირველში მას მხოლოდ 4 საჯარიმო ქულა ჰქონდა და, ფაქტობრივად, პირველობისათვის იბრძოდა), მაგრამ ბოლოსწინა ბარიერს („კუტიკარი") სწორედ ვერ მოუახლოვდა და, თუმცა ცხენს ნახტომი არ შეშლია, გვერდი მაინც გაჰკრა საყრდენ ბოძს; ძელის ჩამოვარდნის გამო შონიას დასანანი 4 საჯარიმო ქულაც დაემატა და მან მეორე ადგილი დაიკავა. პირველ ჰიტშივე შეუცდომლად გამოვიდა გაშიბაიაზოვი (0,25 საჯარიმო ქულა დროის გადაცილებისთვის), მეორეში მან შედეგი გააუარესა (9,25) და საბოლოოდ მესამე ადგილს დასჯერდა.

ახალგაზრდა ცხენებით კვლავ ზინენკომ გაიმარჯვა (11), მეორე იყო აზერბაიჯანელი ილდას მამედოვი, მესამე — შელია.

დასანანია, რომ სამჭიდის შეკვეცამ საშუალება არ მისცა მწვრთნელებს და სპორტსმენებს მინდვრად შეემოწმებინათ წლევანდელი სპორტული სეზონისთვის ზამთრის პერიოდის სამზადისი. ამ მხრივ კონკურისტები უკეთეს დღეში აღმოჩნდნენ. ოჩამჩირელთა მუყაითი მწვრთნელი ო. ნარმანია, ალბათ, თავისი პირადი ხელმოცარვის სრულ კომპენსაციას უნდა გრძნობდეს კონკურში მოპოვებული გამარჯვებისთვის. შარშან სამუშია-ხალკაბადის წყვილმა (ახალგაზრდა ცხენების კლასში) საქართველოს აბსოლუტურ პირველობაზე ფოთში საერთო მესამე ადგილი დაიკავა. როგორც ვხედავთ, წინსვლა აშკარაა. ამავე ჩემპიონატთან დაკავშირებით „ლელომ" სრულიად ნაფიქრი გამოთქვამდა, რომ ფოთის საცხენოსნო კლუბი სრულფასოვანი სპორტული ცხენების უქონლობის გამო ეფექტურად ვერ ერევა ბრძოლაში. მაგრამ სანამ ეს მდგომარეობა გამოსწორდებოდეს, ფოთელ ცხენოსნებს გულ-ხელი არ დაუკრეფიათ; ჯერ რისი შესაძლებლობაც აქვთ, იმით გავიდნენ ფონს და არცთუ ურიგოდ — ამ პირველობაში ერთი წყვილით (ზინენკო-გაისმა) ორი პირველი ადგილი მოიპოვეს.

**უკვე აღვნიშნეთ ის მონდომება, სიახლის გრძნობა, რაც შეჯიბრების მასპინძლებმა დახურული მანეჟის პირველობებში გამოიჩინეს. მაგრამ გარკვეული დაუდევრობა, ზოგჯერ უპასუხისმგებლობაც, რაც ჩვენთან, სამწუხაროდ, საცხენოსნო ასპარეზობას ახლავს ხოლმე, ახლაც იჩენდა თავს, ერთ მაგალითს დავჯერდებით: როდესაც პარასკევს სპორტსმენებსა და მაყურებლებს უცხადებ, რომ შეჯიბრება-კონკური „ამიერკავკასიის თასზე", კვირას, დილის 11 საათზე დაიწყებაო, და სინამდვილეში კი 13 საათზე იწყებ, ამით იმ თითო-ოროლა მაყურებელსაც კარგავ, რომელიც დროზე მოვიდა; და მეორეც: ცხენი, რომელიც მეჯინიბემ, ვეტექიმმა, მწვრთნელმა, სპორტსმენმა დათქმული სტარტისათვის მოამზადეს (ფაქტობრივად, ეს განრიგი სპორტული ცხენის ვარჯიშის ჩვეულ რეჟიმსაც ემთხვევა) გაუთვალისწინებელი, ორი საათით დაყოვნების შემდეგ მოწყურებულიც არის და მოშიებულიც. აღარას ვამბობთ ამ ფაქტის საკუთრივ აღმზრდელობითს მხარეზე!**

**დაბოლოს, ასპარეზობის ერთი უძრავი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი ობიექტის შესახებ: ეს გახლავთ თბილისის სახელმწიფო იპოდრომის დახურული მანეჟი. იგი რომ არ ყოფილიყო, შეჯიბრება, ფაქტობრივად, ჩაიშლებოდა! არადა, თვითონ ეს ნაგებობაა ახლა „ჩაშლის" პირზე. მახსოვს, ამ თხუთმეტიოდე წლის წინ როგორ სთხოვდა ძველი მხედრული სკოლის ღირსეული წარმომადგენელი, მანეჟის იმდროინდელი უფროსი, ცნობებული ბონდო დადიანი იპოდრომის მაშინდელ ახალ დანიშნულ დირექტორს: „რემონტის დროს, ეგებ სარკეებიც დაატანოთ კედლებში, ეს აუცილებელია კულტურული მანეჟისთვის, მხედარმა თვალი უნდა შეავლოს ხოლმე ცხენის მოძრაობას..." არარსებულ სარკეებს ვინღა დაეძებს, როცა სადაცაა, კედლებიც ჩამოიშლება, არადა, დახურული მანეჟი მარტო შეჯიბრებების გადასარჩენად როდია მოწოდებული. ცხენის სრულფასოვანი წვრთნისთვის, ახალბედების აღზრდისათვის იგი აუცილებელია. ახლა ცხენებით, საერთოდ იპოდრომის ტერიტორიით, ბევრი ორგანიზაციაა დაინტერესებული; სხვა საზრუნავთან ერთად კი არც დანგრევის პირზე მისული მანეჟის დავიწყება შეიძლება, ახლის აშენება ბევრად ძნელი და სათუო იქნება.**

**ნოდარ ებრალიძე**



მარცხნიდან: ხვიჩა ტუსიშვილი, ოქსანა მისკელი, სერგო ზინენკო, მერაბ სამუშია, ჯონი მარხულია.
ა. კოტორაშვილის ფოტო.

# ნარდი ქართული თამაშია...

**(დასასრული)**

1990 წლის ევროპის ჩემპიონი ტომას ლუმპერი გერმანია). სამაგიეროდ, აქ იყვნენ ნარდის ისეთი აღიარებული ოსტატები, როგორებიც არიან გერმანიის წარმომადგენლები ფილიპ მარმორშტაინი, ჰარალდ იოანი, ჰაინრიხ ჰაუსლაიტერი, ჰარალდ მილარკი, და, რაც მთავარია, ამჟამად მსოფლიოში I რეიტინგის მქონე, 1984 წლის მსოფლიოს ჩემპიონი მაიკლ სვობოდნი. ევროპის ღია პირველობა, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე კეთილმოწყობილ სასტუმროში — „ბადრუტ პალას ოტელში" ტარდებოდა, საკმაოდ მაღალი საპრიზო ფონდითაც გამოირჩეოდა — 150000 შვეიცარიული ფრანკი. საქართველოდან ჩემს გარდა მონაწილეობდნენ მერაბ კიკალეიშვილი, ემზარ ლაითაძე და რევაზ სოხაძე. აქედან, სოხაძე ეგრეთ წოდებულ ინტერნაციონალურ ტურნირში გამოდიოდა და შესანიშნავად იასპარეზა, ოთხი წრე ისე გაიარა, ღირსეული წინააღმდეგობა არც შეხვედრია. სოხაძემ მხოლოდ ფინალში იწვნია მარცხი. თუმცა, მთლად უკმაყოფილო, ალბათ, არც უნდა იყოს — მას მეტად ლამაზი პრიზი და 1200 შვეიცარიული ფრანკი გადაეცა.

ახლა კი ძირითადი ტურნირის შესახებ, რომელიც ჩვენთვის არცთუ სახარბიელოდ წარიმართა. მე და მერაბ კიკალეიშვილი პირველსავე წრეში დავმარცხდით, შესაბამისად, იტალიელ ჩერისთან და შვეიცარიელ შტაიგერთან. ხოლო ლაითაძემ თავდაპირველად ამერიკელი კოლბერი დაამარცხა, მეორე წრეში კი გერმანელ შარტთან დამარცხდა. საბოლოოდ, ძირითადი ტურნირის გამარჯვებულის წოდება და ფულადი ჯილდო 88000 შვეიცარიული ფრანკი მოიპოვა გერმანელმა გრეინერმა.

ამის შემდეგ კი დაიწყო სანუგეშო ტურნირი, რომელიც თამამად შეიძლება განვაცხადო, ქართული ნარდის სკოლის ერთგვარ ბენეფისადაც იქცა. ჩემი შედეგები უფრო მოკრძალებული იყო: პირველ წრეში დავამარცხე იტალიის შარშანდელი ჩემპიონი, მსოფლიოში X რეიტინგის მქონე ტისონი — 11:6, მეორე წრეში კი დავმარცხდი შვეიცარიელ შტაიგერთან — 8:11. მეტად ძლიერი მეტოქეები ჰყავდა მერაბ კიკალეიშვილსაც, რომელმაც ჯერ ნარდის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტი, იტალიელი ალბერტო დაპრა დაამარცხა, შემდეგ კი გერმანელი ქიმელი, მაგრამ მესამე წრეში იგი მაიკლ სვობოდნის შეხვდა და ტიტულოვანმა ამერიკელმა გაიმარჯვა კიდეც. აი, ლაითაძის შეჩერება კი მართლაც შეუძლებელი იყო. პირველ ორ წრეში მან არანაირი შანსი არ დაუტოვა ფრანგეტენსა და გერმანელ ჰოლედერერს, მესამე წრეში საკმაოდ დაძაბული ბრძოლის შემდეგ რევანში აიღო ძირითად ტურნირში დამარცხებისათვის გერმანელ შარტთან — 11:10, ასეთივე ანგარიშით დაამარცხა იტალიელი პორჩი და ნახევარფინალში ისევ და ისევ მაიკლ სვობოდნის „გადაეყარა". სვობოდნი ამჟამად ბრწყინვალე ფორმაშია, რასაც მისი უკანასკნელი წარმატებაც მოწმობს საფრანგეთის ღია პირველობაზე და ყველა მის გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა. ნახევარფინალის წინ მსოფლიო ნარდის ერთ-ერთმა ვარსკვლავმა ფილიპ მარმორშტაინმა მაღალი შეფასება მისცა ემზარ ლაითაძის თამაშს, მაგრამ დასძინა, რომ მას სვობოდნისთან მოგების არანაირი შანსი არ ექნებაო...

ნახევარფინალის შემდეგ კი მაიკლ სვობოდნიმ გულახდილად აღიარა ემზარ ლაითაძის ნიჭი და პირველმა მიულოცა გამარჯვება. ამ ნახევარფინალის დაწვრილებით აღწერას არ შევუდგები, მხოლოდ ანგარიშს გეტყვით — 13:2 ლაითაძის სასარგებლოდ, და, დამეთანხმებით, აქ კომენტარი ზედმეტია.

ამ შესანიშნავად ჩატარებულ ნახევარფინალურ შეხვედრას ეტყობა, ლაითაძემ დიდი ენერგია შეალია და ფინალში შვეიცარიელ შტაიგერს, ფაქტობრივად, წინააღმდეგობა ვერც გაუწია. სხვათა შორის, შტაიგერი ქართველებისთვის ყველაზე უხერხული მეტოქე აღმოჩნდა — მან ხომ ძირითად ტურნირში სამივეს გვაჯობა.

ახლა კი ისევ ლაითაძის შესანიშნავ გამოსვლას დავუბრუნდეთ, რომელმაც სანუგეშო ტურნირში მეორე, ოფიციალურად კი ევროპის პირველობაში VI ადგილი დაიკავა, ეს კი ქართული ნარდის სკოლის დიდი აღიარება გახლავთ. ამ წარმატებით ლაითაძემ მსოფლიო რეიტინგში 28-ე ადგილზე გადაინაცვლა, მიიღო ძალიან ლამაზი თასი, გადაეცა პრიზი — „მსოფლიოს ნარდის ფედერაციის ოქროს კარტი" და ფულადი ჯილდო — 2500 შვეიცარიული ფრანკი. ამასთან, პერსონალურად მიიწვიეს მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ივლისში გაიმართება მონტე-კარლოში და რომლის საპრიზო ფონდიც ორ მილიონ დოლარამდე იქნება...

იმ მოგებული თანხიდან, რომლებიც სანტ-მორიცში მოვიპოვეთ, ვალუტის 15 პროცენტს, არსებული წესის თანახმად, ჩვენს ფედერაციას ჩავურიცხავთ. გეტყვით, რომ თუ ჩვენს წარმომადგენელს საზღვარგარეთულ ტურნირში საქართველოს ფედერაცია დააფინანსებს, მაშინ ის მოგების 50 პროცენტს ჩარიცხავს. ამ შემთხვევაში კი ოთხივეს სპონსორები გვყავდა: ლაითაძეს — საქართველოს საზღვაო სანაოსნო, დანარჩენებს კი უცხოური ფირმები. ასე მაგალითად, ჩემი სპონსორი იყო „აგფა", კიკალეიშვილის — „ვაიზერ-პარტნიორი", ხოლო სოხაძისა — „აეგ"-ი.

ამჟამად ქართველი მონარდეები მიწვეულები ვართ მსოფლიოს ჩემპიონატზე, მაგრამ, ალბათ, მონაწილეობას მივიღებთ დიდი ბრიტანეთის ღია პირველობაზე, რომელიც ჰიბრალტარში უნდა გაიმართოს.

დასასრულ, არ შეიძლება, არ აღინიშნოს ის გამოხმაურება, რომელიც მოჰყვა უცხოეთის პრესაში ჩვენს შარშანდელ ღია პირველობას. ჩვენი პირველი საერთაშორისო ტურნირი სათანადოდ შეაფასეს არა მარტო ნარდის სპეციალიზებულმა გამოცემებმა, მაგალითად, გერმანულმა „ბეგემონ-მაგაზინმა" არამედ ჰოლანდიის ცენტრალურმა პრესამ, გერმანულმა „შპიგელმა", იტალიურმა „კორერო დელო სპორტმა", და სხვებმა... ამჟამად ჩვენი ფედერაცია ემზადება დიდი საერთაშორისო ტურნირისათვის, რომელიც წლეულს შემოდგომაზე გვაქვს დაგეგმილი საქართველოს ზღვისპირეთში და რომლის დირექტორებიც იქნებიან გერმანელი ალფრედ შვარცი და ამერიკელი პატი დონერი. ამ უმაღლესი რანგის საერთაშორისო ტურნირზე სულ 500-მდე სტუმარს ველოდებით, იქამდე კი მიმდინარეობს მოლაპარაკება უცხოურ ფირმებთან სპონსორობისათვის, ისეთებთან, როგორებიც არიან „პანამა", „კარტიე", „ტიჩერსი" (შოტლანდიური ვისკის ფირმა), „მიერ" (სიგარეტის ფირმა), „კარლსბერგ-ბიერი" (საქვეყნოდ განთქმული დანიური ლუდის ფირმა) და სხვანი.

ჩაიწერა
**ზია ტუხაშვილმა.**

**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში**

უმაღლესი ჯგუფი

**გუშინ** გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის III ტურის შეხვედრები უმაღლესი ჯგუფის გუნდებს შორის.

„გორდა“ (რუსთავი) — „იბერია“ (თბილისი) 2:2

„ქუთაისი“ (ქუთაისი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 1:0

„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „სულორი“ (ვანი) 2:2

„ბათუმი“ (ბათუმი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 1:0

„ოდიში“ (ზუგდიდი) — „ივერია“ (ხაშური) 4:1

„მერცხალი“ (ოზურგეთი) „სამგურალი“ (წყალტუბო) 2:1

„ცხუმი“ (სოხუმი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 2:1

„დილა“ (გორი) — „მზიური“ (გალი 2:0

„კოლხეთი“ (ხობი) — „ხანავარდო“ (სამტრედია) 0:0

## ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი

**14-30 ივნისს** პორტუგალიაში გაიმართება მსოფლიოს VI ჩემპიონატი ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის. გაიმართა წილისყრა, რომლის შედეგადაც შეიქმნა 4 ფინალური ჯგუფი:

**I ჯგუფი.** პორტუგალია, ირლანდია, არგენტინა, კორეის გაერთიანებული ნაკრები (მატჩები გაიმართება ლისაბონში).

**II ჯგუფი.** მექსიკა, შვეცია, ბრაზილია, კოტ დივუარი. (პორტო).

**III ჯგუფი.** ეგვიპტე, ტრინიდადი-ტობაგო, ავსტრალია, საბჭოთა კავშირი (გიმარაეში და ბრაგა).

**IV ჯგუფი.** სირია, ურუგვაი, ინგლისი, ესპანეთი (ფარო).

მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართება 22 და 23 ივნისს, ნახევარფინალები — 26 ივნისს, მატჩი მესამე ადგილისთვის — 29 ივნისს, ხოლო ფინალური შეხვედრა დანიშნულია 30 ივნისს ლისაბონში.

# „მუდმივი“ მიგელ მიჩელი

**ფეხბურთის** გულშემატკივრები თითქოს შეეჩვივნენ ამ ამბავს — როცა ესპანეთის ნაკრები მინდორზე გამოდის, მის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა იყოს მიგელ მიჩელი. შარშან ესპანელებმა მსოფლიო ჩემპიონატზე იტალიაში 4 მატჩი გამართეს. „მუდმივმა“ მიჩელმა, ცხადია, ყველა ამ შეხვედრაში ითამაშა.

ესპანელებს უყვართ გრძელი და ლამაზი გვარები. მიჩელის სრული სახელი და გვარია მიგელ გონზალეს დელ კამპიო. დაიბადა მადრიდში, 1963 წლის 23 მარტს. 182 სმ სიმაღლისაა, იწონის 77 კილოგრამს. ფეხბურთმა ბავშვობიდან გაიტაცა. აქ თავისი როლი იმ გარემოებამაც ითამაშა, რომ მისი ოჯახი კლუბ „ატლეტიკოს“ სტადიონთან ახლოს სახლობდა, ყმაწვილები მუდამ ფეხბურთელებს დასდევდნენ, დიდი სიამოვნებით დაჰქონდათ მათი ჩანთები. ცოტა რომ წამოიზარდა, მიჩელი მადრიდის „რეალის“ ბავშვთა სკოლაში ჩაირიცხა. შემდეგ „კასტილიის“ წევრი გახდა, „კასტილია“ კი იგივე მადრიდის „რეალია“, უფრო სწორად, მისი „შვილობილი“, რომელიც ესპანეთის მეორე ლიგაში გამოდის. „რეალის“ მომავალი წევრები, შეიძლება ითქვას, „კასტილიაში“ პრაქტიკას გადიან, სწორედ ისე, როგორც მიჩელმა გაიარა, ვიდრე ესპანეთის ყველაზე პოპულარულ გუნდში მიიწვევდნენ.

23 წლის მიჩელი მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე იყო. სხვათა შორის, მან ჩინებული ბურთი გაიტანა ბრაზილიელთა კარში, თუმცა მსაჯმა გოლი არ ჩათვალა, რაც ექსპერტებმა სრულ გაუგებრობად მიიჩნიეს. მიჩელი ესპანეთის ნაკრებში უფრო და უფრო უკეთ ათამაშდა, თანდათან მას გუნდის დირიჟორის ფუნქციებიც დაეკისრა.

აი, რას წერდა ესპანეთის გაზეთი „მარკა“: „არ შეიძლება არ მოგხიბლოს მისმა დახვეწილმა ტექნიკამ, ზუსტმა და ამავე დროს მოულოდნელმა გადაცემამ: მეტად დასაფასებელია, როგორც შემტევი ნახევარმცველი და სახიფათო სნაიპერი. ასეთი „მდიდარი რეპერტუარის“ მოთამაშე ეროვნული ნაკრებისთვის აუცილებელია, რათა მიგელ მუნიოსს შეხმატკბილებული ორკესტრი ჰყავდეს“.

ერთმა ჟურნალისტმა მიჩელს, ცოტა არ იყოს, უტაქტო კითხვაც კი მისცა:

● **მიგაჩნიათ თუ არა, რომ ესპანეთში თამაშის ყველაზე უკეთესი ორგანიზატორი ხართ?**



მიგელ მიჩელი

— ესპანეთში ახლა [illegible] მაღალი კლასის დირიჟორია და მე ერთ-ერთი მათგანი გახლავართ. თამაშის მანერითა და სტილით მე სხვათაგან არ გამოვირჩევი. მწვრთნელმა მუნიოსმა ეს როლი ნაკრებში მე მომანდო. სხვათა შორის, სწორედ მისი სიტყვებია, რომ „ორკესტრს“ სჭირდება სხვადასხვანაირი შემსრულებლები — არა მარტო „მევიოლინეები“, არამედ, ვთქვათ „მედოლეებიც“.

აი, მიჩელის აზრი ზოგიერთ სხვა საკითხზე:

● **რას იტყვით მადრიდის „რეალში“ თქვენი თამაშის შესახებ?**

— ამ გუნდის მაისურის ტარება ჩემთვის დიდი პატივია. ვცდილობ, მინდორზე ყოველთვის მობილიზებული, საბრძოლველად შემართული გამოვიდე.

● **მინდორზე შიშის გრძნობა თუ გაქვთ?**

— მეტოქეებისა არასოდეს მეშინია, მაგრამ, გამოგიტყდებით, მაყურებლებს კი ვუფრთხი — ისინი ხშირად მეტად გამომწვევად, უხეშად იქცევიან. სწორედ მაყურებელია, სისტემატიურად რომ იწვევს აურზაურსა და კონფლიქტს.

● **თქვენი ცოლისძმაც ფეხბურთელია. სახლში თუ საუბრობთ საფეხბურთო თემებზე?**

— არა, ამ თემაზე საუბარს ვერიდები.

● **რა არის თქვენთვის ფეხბურთი, „სამსახური“ თუ „გახართობი?“**

— ეს ჩემთვის „სამსახურია“, მაგრამ ისეთი, მთელი არსებით რომ გიტაცებს.

იცვლებიან მწვრთნელები „რეალში“, უცვლელი მხოლოდ მიჩელ-ბუტრაგენიოს დუეტია. შეიცვალა მწვრთნელი ესპანეთის ნაკრებში, მაგრამ მიჩელი აქაც შეუცვლელია. ტყუილად ხომ არ არის იგი „მუდმივი!“

**გივი თორელი**

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### მზადება დაიწყეს

როგორც არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ალფიო ბაზილემ ჟურნალისტებს განუცხადა, მისი გუნდი უკვე შეუდგა 1991 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი საფეხბურთო შეჯიბრების — „კოპა ამერიკისათვის“ მზადებას, რომელიც ივლისში გაიმართება. აქ არგენტინელებს, როგროც ყოველთვის, ბრაზილიელებისა და ურუგვაელების სახით ძლიერი მეტოქეები ეყოლებათ.

ბაზილემ თქვა, რომ თხოვნით მიმართა მარადონას, ითამაშოს ამ შეჯიბრებაში, მაგრამ არგენტინელთა ვეტერანი ჯერჯერობით თავს იკავებს, მწვრთნელი იმედს არ კარგავს, რომ მარადონამ შეიძლება გადაიფიქროს.

### რატომ დასუსტდა „მილიონარიოსი“?

გულშემატკივრები ყურადღებას აქცევენ იმ ფაქტს, რომ ერთ დროს სიმდიდრით განთქმული (შეეძლო ნებისმიერი ვარსკვლავი ეყიდა) ბოგოტის „მილიონარიოსი“ ახლა აშკარად დასუსტდა და, ყოველ შემთხვევაში, კოლუმბიის უძლიერესი კლუბების რიცხვს უკვე აღარ მიეკუთვნება.

ამას მიმომხილველები ხსნიან იმით, რომ კოლუმბიის მთავრობამ შეუტია ნარკომაფიას — „იატაკქვეშა“ თუ ოფიციალური მილიონერები უკვე აღარ ეხმარებიან „მილიონარიოსს“.

### სეზონის ბოლომდე

როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ცნობილმა მწვრთნელმა ემერიხ ენეიმ დატოვა რუმინეთის ნაკრები და უნგრეთის პირველი ლიგის კლუბ „დებრეცენს“ ჩაუდგა სათავეში. ახლა ეს კლუბი აშკარა აუტსაიდერია და ენეის ერთწლიან ხელშეკრულებას, ეტყობა, აღარ გააგრძელებენ.

### ვერ შველის

როცა იტალიის ექსჩემპიონს ფეხბურთში „ბოლონიას“ პირველი ლიგის დატოვების რეალური საფრთხე დაემუქრა, მისმა ხელმძღვანელებმა პირველი წრის შემდეგ გამოსავალს მიაგნეს: მწვრთნელი ფრანჩესკო სკოლიო მრავალნაცადი და კარგი რეპუტაციის მქონე ლუიჯი რადიჩეთი შეცვალეს.

რადიჩემ მათ უიმედო სურათი დაუხატა: გუნდი გუნდს არა ჰგავს, არ გაამართლა არც ერთმა მოწვეულმა უცხოელმა (უნგრელი დეტარი, გერმანელი ვაასი, ბულგარელი ილიევი).

რადიჩემ „ბოლონიას“ წარუდგინა იმ უცხოელი მოთამაშეების სია, რომელთაც შეუძლიათ გუნდის არასახარბიელო მდგომარეობის გამოსწორება.

### „ინექცია“ თუ ვარსკვლავების გაყიდვა?

უკვე რამდენიმე თვეა, ინგლისის პრესა ბევრს წერს ლონდონის პოპულარულ კლუბ „ტოტენჰემ ჰოტსპურზე“. არა, ჟურნალისტები ფეხბურთელთა სპორტულ წარმატებას არ იუწყებიან! ლაპარაკია კლუბის უზარმაზარ ვალზე, რომელიც უკვე 12 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს, რის გამოც, „ტოტენჰემის“ აქციები ყველგან ბლოკირებულია.

მაინც რატომ დაედოთ ლონდონელებს ასეთი ვალი? მათ, როგორც ჩანს, კარგად ვერ შეაფასეს თავიანთი ფინანსური შესაძლებლობები, დიდი თანხა შეალიეს „უაიტ ჰარტ ლეინის“ სტადიონის რეკონსტრუქციას. გარდა ამისა, „ტოტენჰემ ჰოტსპური“, ხარჯს არ მოერიდა და შეიძინა ისეთი ვარსკვლავები, როგორიცაა ლინეკერი და გასკოინი.

„ტოტენჰემის“ მატჩებს მაყურებელი არ აკლია, მაგრამ ეს მთლიანად ვერ შველის საქმეს. რაც შეეხება სპორტულ მიზანს, ამას გუნდი, ეტყობა, მიაღწევს, — ინგლისის პირველობაზე ერთ-ერთ საპრიზო ადგილს დაიკავებს. ახლა კლუბის პრეზიდენტი სკოლარი და ცნობილი მწვრთნელი ვენეიბლსი, ადრე „ბარსელონაში“ რომ მუშაობდა, თავს იმტვრევენ, რა მოიმოქმედონ, გამოსავალი კი ორია: ან ლინეკერ-გასკოინის, ინგლისის ლიგაში ამჟამად უძლიერესი დუეტის გა-



ყიდვა — რაც, ცხადია, გუნდის შედეგებს აშკარად დაეტყობა, — ან და რობერტ მაქსუელის, ამ ფინანსური მაგნიტისაგან 13 მილიონიანი „ინექციის“ მიღება და, ფაქტობრივად, მის განკარგულებაში გადასვლა.

### ოდესღაც სახელოვანი „ფიორენტინა“

როგორც „ფიორენტინას“ ხელმძღვანელები მიიჩნევენ, ამ კლუბის მწვრთნელად ბრაზილიის ნაკრების ყოფილი თავკაცის ლაზარონის მოწვევა არასწორი გადაწყვეტილება გამოდგა — ლაზარონიმ ვერ შეძლო ფლორენციის ამ ოდესღაც სახელოვანი კლუბის „მოღონიერება“. ექსპერტები ურჩევენ „ფიორენტინას“ პრეზიდენტს გორის ლაზარონის შეცვლას და მის მაგივრად გუნდის მწვრთნელად ახლო წარსულში პოპულარული ფეხბურთელის ჯანკარლო ანტონიონის დანიშვნას.

„ფიორენტინაში“ მოთამაშე 3 უცხოელიდან გუნდის ხელმძღვანელები კმაყოფილნი არიან რუმინელი ლეკატუშითა და ბრაზილიელი დუნგათი, მაგრამ ემდურებიან ჩეხოსლოვაკიელ კუბიკს, რომელსაც სხვადასხვა გერმანული კლუბები იწვევენ და, ეტყობა, დატოვებს იტალიას.

ამასობაში პრეზიდენტმა გორიმ სამხრეთ ამერიკაში გააგზავნა თავისი მრჩეველი, იტალიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ფერუჩიო ვალკარეჯი, რომელიც მოელაპარაკა ბრაზილიელ ვარსკვლავებს (ბებეტო, ბისმარკი, ნეტო) და აგრეთვე არგენტინელ ლა ტორესს. ივნისიდან ზოგი მათგანი იტალიაში გადმოსახლდება.

ვალკარეჯი შეხვდა ცნობილ პასარელასაც, რომელიც წლების განმავლობაში „ფიორენტინას“ კაპიტანი იყო, ახლა კი არგენტინაში შარშანდელი სეზონის № 1 მწვრთნელად დაასახელეს. მას შესთავაზეს ანტონიონისთან ერთად (რომლის დიდი მეგობარიცაა) ემუშაოს გუნდში.

## საკავშირო ჩემპიონატი კალათბურთში ● ქალები

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 72:76 (34:43).**

**თბილისი. გ. ეგნატაშვილის სახელობის კალათბურთის დარბაზი. 26 მარტი.**

**ტექნიკური უნივერსიტეტი: ლორია (8), სირაძე (19), მხეიძე (32), ზუილლიშვილი (4), ომიაძე (2), კურტანიძე, მ. მაისურაძე (2), ლ. მაისურაძე (5).**

**„ურალმაში“: ჩერნიკოვა (4), სელივერსტოვა (15), ბურმისტროვა (6), გონტარევა (10), სტარცევა (8), ლარინა (18), მახკაევა (10), ზავიალოვა, ლევიჩევა (10).**

**მსაჯები: ა. როსტომაშვილი, გ. ოსიაშვილი (ორივე — თბილისი).**

**სვერდლოვსკელთა** გუნდი „ბ“ ჯგუფში მოასპარეზეთა შორის მართლაც გამორჩეული კოლექტივია. აქ ბევრი ტანმაღალი მოთამაშეა, რომლებიც ფიზიკურადაც და ტექნიკურადაც საკმაოდ კარგად არიან მომზადებულნი, ყურადღებას უმთავრესად, ფარქვეშ ბრძოლას უთმობენ, სადაც საკმაოდ ეფექტურადაც იბრძვიან.

ჩვენი გუნდის პრობლემებზე არაერთხელ დაგვიწერია და საკავშირო ჩემპიონატის „ბ“ ჯგუფის ბოლო მატჩშიც თვალნათლივ გამოჩნდა — ჩემპიონატის დასაწყისიდან დღემდე თბილისელები ერთი და იგივე შემადგენლობით თამაშობენ, რაც, ერთის მხრივ გუნდის შემადგენლობის სტაბილურობაზე მეტყველებს, მაგრამ როცა მთელი სეზონი 7-8 მოთამაშეს აწვება მხრებზე, ეს, დაგვეთანხმებით, რთულ პირობებში აყენებს მათ.

განვლილ მატჩში ჩვენი გუნდი აშკარად გადაღლილი ჩანდა. პირველსავე წუთებზე თბილისელებს ზედიზედ რამდენიმე შეტევა გაუცუდდათ. ერთხანს თითქოს გამოასწორეს მდგომარეობა, ანგარიშიც გაათანაბრეს, მაგრამ მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში მდევრის როლში იყვნენ და დამარცხდნენ.

შესვენების შემდეგ მასპინძლები მეტი მონდომებით ათამაშდნენ, ანგარიშში სხვაობაც შეამცირეს, მაგრამ ეს იყო და ეს. დავძენთ იმასაც, რომ იშვიათად ხდება, როდესაც გუნდის საუკეთესო მოთამაშეები ამდენს ცდებოდნენ, როგორც ტყორცნებისას, ასევე გადაცემებისას.

მიუხედავად ამ დამარცხებისა, საქართველოს კალათბურთელი ქალები აპრილში ჩაებმებიან „პლეი-ოფ“-ის გათამაშებაში.



ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და სვერდლოვსკის „ურალმაშის“ ქალთა გუნდების შეხვედრის ეპიზოდი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.



# „ყოჩები“ არაფერ შუაშია...

**შარშანდელ** სეზონთან შედარებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მორაგბეთა გუნდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. პირველ ყოვლისა, მრავალი ბუნებრივი თუ ხელოვნური დაბრკოლებების შემდეგ, კოლექტივი ბოლოს და ბოლოს სარაგბო კლუბად იქცა (პრეზიდენტი — უნივერსიტეტის პრორექტორი ს. ბაციკაძე) და მეორეც, ხელახლა „მოინათლა“ და სახელად „ყოჩები“ დაირქვა.

გავესაუბრეთ გუნდის მთავარ მწვრთნელს ლაშა გეგენავას:

**● ამ ცოტა ხნის წინათ ხმა დაირხა: „ყოჩები“ თავიანთ რიგებში ძალით უპირებენ გადმოყვანას უნივერსიტეტის სტუდენტ „ვეხტასა“ და „მიმინოს“ მოთამაშეებსო...**

— მართალია, მაგრამ „ყოჩები“ აქ არაფერ შუაშია. უნივერსიტეტის რექტორმა განაცხადა, რომ უმაღლესი და პირველი ლიგის მოთამაშეს, რომელიც უნივერსიტეტში სწავლობს და მისსავე გუნდში არ თამაშობს, არ გაეწეოდა შეღავათი სწავლის პერიოდში. რას მოიმოქმედებენ ასეთი მოთამაშეები მათი საქმეა. ფაქტი ერთია, მე არავისთვის ძალა არ დამიტანებია. ვისაც სურს, ითამაშოს ჩვენთან და ღირსია ამისა, სიამოვნებით მივიღებთ. ისე კი, ჩვენი ძველი შემადგენლობითაც არ გვიჭირს თამაში.

## მიზნები, პრობლემებით დამძიმებული

**● საქართველოს ჩემპიონატი კარს მოგვადგა, ახე რომ, სამზადისზე, ცვლილებებზე, გეგმებზეც უნდა გკითხოთ...**

— გუნდიდან არავინ წასულა. თბილისის „ასოციაციიდან“, როგორც მოთამაშეები, შემოგვემატნენ მალხაზ ქეიშვილი და ბიძინა გეგიძე, რომლებიც შარშან ჩვენთან მწვრთნელებად მუშაობდნენ. წელს მათ მოთამაშე-მწვრთნელის სტატუსი მიენიჭებათ და, ცხადია, ორმაგად გამოადგებიან გუნდს.

წლეულს, პირველად გუნდის ოცწლიან ისტორიაში, ზამთარში ეშერაში შევიკრიბეთ. ამაში კლუბიც დაგვეხმარა. ჩემპიონატის დაწყებამდე თბილისში ვივარჯიშებთ. ამჟამად ძალზე რთულ მდგომარეობაში ვართ: დაიწყო სამედიცინო ინსტიტუტის სტადიონის განახლება, ჩვენ კი ბოლო წლებში აქ ვვარჯიშობდით. ასე რომ, ახლა, ფაქტობრივად, უმოედნოდ დავრჩით. წლევანდელ სეზონში მიზნად, უპირველეს ყოვლისა, თამაშის ხარისხის გაუმჯობესებას ვისახავთ. გუნდში ძლიერი შერკინების ხაზი გვყავს, აი, სამმეოთხედელები კი აშკარად ჩამოუვარდებიან მორკინალებს და ვცდილობთ, ესეც გამოვასწოროთ. განვიზრახეთ, ოთხეულში მოსახვედრად ვიბრძოლოთ.. ჯერჯერობით ესაა, შემდეგ კი ვნახოთ...

გარდა უმთავრესი შეჯიბრებისა — საქართველოს ჩემპიონატისა — მაისის ბოლოს ჰოლანდიაში ვიასპარეზებთ უმაღლესი კატეგორიის „საშვიდკაცო ტურნირში“ — „ამსტერდამის შვიდკაცაში“, სადაც მსოფლიო უძლიერეს მორაგბეებთან პაექრობაში შევეცდებით ღირსეულად დავიცვათ ქართული რაგბის ღირსება.

## „მიმინო“ — გაზიერით და... უგაზოდ

**საქართველოს** შარშანდელ ჩემპიონატში თბილისის „მიმინოს“ მორაგბეებმა მესამე ადგილი დაიკავეს და სტაბილური თამაშითაც დაგვამახსოვრეს თავი. მიმინოელთა გეგმებზე გვესაუბრება გუნდის მთავარი მწვრთნელი რეზო ჩხეიძე:

— წლეულს, კვლავინდებურად, ორ ჩემპიონატში გამოვალთ: საქართველოსა და სსრ კავშირის I ლიგაში. სეზონისათვის მზადება ადლერში შეკრებით დავიწყეთ. ამჟამად თბილისში ვვარჯიშობთ, მარტის ბოლოს კი კვლავ ადლერს მივაშურებთ და სამზადისს იქ დავასრულებთ.

გუნდი დატოვეს წამყვანმა მოთამაშეებმა — კაპიტანმა ვახტანგ კაპანაძემ და ეროვნული ნაკრების წევრმა შავლეგ ჯანელიძემ — ორივე „შევარდენში“ გადავიდა. სამაგიეროდ, „ივერიიდან“ მივიღეთ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ გამოცდილი ნიკო ნატროშვილი, რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებთ.

რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ამ მხრივ ძალიან გვიჭირს. არ გვაქვს ბურთები და ბუცები, ჯერჯერობით სტადიონიც ვერ გამოგვინახავს. ხან სად ვვარჯიშობთ, ხან სად.

შეძლებისდაგვარად გვეხმარება ჩვენი სპონსორი — სამოქალაქო ავიაციის სამმართველო (უფროსი — ა. ქაძანია), რომელმაც წლეულს სოლიდური ფონდი გამოგვიყო. ვფიქრობთ, ამით რამდენიმე მტკივნეულ საკითხს მოვაგვარებთ.

„მიმინო“ კვლავ საპრიზო ადგილისთვის იბრძოლებს. ოღონდ ვეცდებით, შარშანდელზე უკეთ გამოვიდეთ.

# კომპიუტერი განაგრძობს მუშაობას

## სელეში — პირველი, გრაფი — მეორე, მესხი — მეთვრამეტე

**კეი** ბისკეინის (აშშ, ფლორიდა) საერთაშორისო ტურნირში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ იუგოსლაველმა მონიკა სელეშმა კიდევ უფრო განიმტკიცა პოზიცია, როგორც მსოფლიოს №1-მა ჩოგბურთელმა. ორი კვირის წინ საჩოგბურთო კომპიუტერმა გერმანელ შტეფი გრაფს ჩამოართვა უძლიერესის „კვერთხი“, რომელსაც იგი სამნახევარი წლის მანძილზე ღირსეულად ატარებდა და გადასცა მონიკა სელეშს. ფლორიდაში გამარჯვების შემდეგ სხვაობა სელეშისა და გრაფის მაჩვენებლებს შორის უფრო გაიზარდა და 23,09 პუნქტს მიაღწია.

ქალთა ჩოგბურთის ასოციაციამ გამოაქვეყნმა გამომთვლელი მანქანის ბოლო კვირის მონაცემები. აი ისიც: 1. მონიკა სელეში (იუგოსლავია), 2. შტეფი გრაფი (გერმანია), 3. მარტინა ნავრატილოვა (აშშ), 4. გაბრიელა საბატინი (არგენტინა), 5. არანტა სანჩესი (ესპანეთი), 6. მერი ჯო ფერნანდესი (აშშ), 7. იანა ნოვოტნა (ჩეხოსლოვაკია), 8. კატერინა მალეევა (ბულგარეთი), 9. ზინა ჰარისონი, 10. ჯენიფერ კაპრიატი (ორივე — აშშ). უძლიერესთა ოცეულში შეყვანილია ორი ჩოგბურთელი სსრ კავშირიდან. მინსკელი ნატალია ზვერევა სიაში მეთხუთმეტეა, თბილისელი ლელა მესხი კი მეთვრამეტე.

უმნიშვნელო ცვლილებები მოხდა ვაჟთა რეიტინგში. ხუთეულში მოულოდნელად „შეიჭრა“ ფრანგი გი ფორჟე (მეოთხე ადგილი), არადა, ასეთი შედეგი მანამდე მხოლოდ ერთ ფრანგ ჩოგბურთელს, იანიკ ნოას ჰქონდა.

აი, როგორ გამოიყურება ვაჟთა ათეული: 1. სტეფან ედბერგი (შვეცია), 2. ბორის ბეკერი (გერმანია), 3. ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), 4. გი ფორჟე (საფრანგეთი), 5. ანდრე აგასი, 6. პიტ სამპრასი (ორივე — აშშ), 7. გორან ივანიშევიჩი (იუგოსლავია), 8. ბრედ ჯილბერტი, 9. ჯიმ კურიე (ორივე — აშშ), 10. იონას სვენსონი (შვეცია). ანდრეი ჩესნოკოვი, ამჯერად, მეთორმეტე ნომრადაა დასახელებული, ანდრეი ჩერკასოვი კი მეთექვსმეტე ნომრად.

გუშინწინ აშშ-ის კიდევ ერთ ქალაქ — სან-ანტონიოში დაიწყო ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის „მთავარი მოქმედი პირნი“ ისევ და ისევ მონიკა სელეში და შტეფი გრაფი არიან. ახლა მათი ყოველი დასწრებული თუ დაუსწრებელი დავა ცხოველ ინტერესს იწვევს, ვინაიდან გრაფი, ბუნებრივია, დაკარგული პოზიციის დაბრუნებას ცდილობს, სელეში კი წარმატების განმტკიცებას.

პირველი წრის შედეგებით ორივე ჩოგბურთელი კმაყოფილი უნდა იყოს. სელეშმა დაამარცხა არგენტინელი ფლორენსია ლაბატი — 6:0, 6:1, გრაფმა კი ამერიკელი აუდრა კელერი — 6:2, 6:1.

სხვა ორთაბრძოლებიდან შეიძლება გამოვყოთ პამ შრაივერის (აშშ) გამარჯვება იტალიელ რაფაელა რეჯისთან (6:3, 6:3), მანუელა მალეევასი (შვეიცარია) — ამერიკელ ალისია მეისთან (6:1, 6:2), რადკა ზრუბაკოვასი (ჩეხოსლოვაკია) — ამერიკელ გრეთჰენ მეიჯერსთან (6:4, 2:6, 7:6).

# თასს „პაოკი“ დაეუფლა

**ჟენევა.** კალათბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალური მატჩი საბერძნეთის „პაოკსა“ და ესპანეთის კაი-ს შორის ნეიტრალურ მოედანზე ჩატარდა და დამთავრდა ბერძნული კლუბის გამარჯვებით — 76:72.

პირველი ტაიმი მოიგეს ესპანელებმა 5 ქულის სხვაობით — 36:31. შესვენების შემდეგ „პაოკმა“ რამდენიმე ეფექტური შეტევა განახორციელა და 25-ე წუთისთვის გაათანაბრა ანგარიში — 41:41. ერთხანს ბრძოლა ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ 30-ე წუთიდან ინიციატივას ბერძენი კალათბურთელები დაეუფლნენ და ბოლომდე შეინარჩუნეს იგი.

მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავენ „პაოკის“ იუგოსლაველი კალათბურთელის პრელევიჩის ბრწყინვალე თამაშს, რომელმაც გამარჯვებულ კოლექტივს 31 ქულა შესძინა.

# მოგვარეები პრიზიორთა შორის

**ბაკურიანში** გამართულ მონარდეთა რესპუბლიკურ ტურნირში — „თოვლის თასი“, დამსახურებულად გაიმარჯვა ნიკო გუგუშვილმა — თბილისის უსინათლოთა საზოგადოების სასწავლო-საწარმოო წამოწყება „ბოჰორმის“ თანამშრომელმა. დამსახურებულად იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ფინალში მან საკმაოდ დამაჯერებლად დაამარცხა აკაკი კიკალეიშვილი (15:4) და მეორეც, ნიკოს უკვე დამკვიდრებული აქვს ადგილი უძლიერეს ქართველ მონარდეთა შორის — მან დეკემბერში გაიმარჯვა „ვერის თასის გათამაშებაში“.

ბაკურიანში მიღწეული წარმატებისთვის ნ. გუგუშვილს გადაეცა 3 ათასი მანეთი და სხვა სამახსოვრო ჯილდოები. ა. კიკალეიშვილმა ჯილდოდ 1500 მანეთი მიიღო, მესამე ადგილზე კი მისი მოგვარე, მურთაზ კიკალეიშვილი გავიდა.

რედაქტორი
თენგიზ ბაჩეჩილაძე



**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი**
**(ა. წერეთლის გამზირი № 2)**

**1 აპრილი ● ფეხბურთი**

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

**„იბერია“ (თბილისი) — „ქუთაისი“ (ქუთაისი)**

დასაწყისი 18 საათზე.

მატჩის დამთავრების შემდეგ ჩატარდება ნივთების ლატარია, გათამაშდება უკანასკნელი მოდელის, იტალიური წარმოების ფირმა „ფიატ“ „ტიპოს“ ხუთი ავტომანქანა.

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში ყოველდღე, დილის 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14 საათიდან 15 საათამდე).

## ნარდის ეროვნული ფედერაციის განცხადება

**საქართველოს** ნარდის ეროვნული ფედერაცია 9-დან 12 მაისამდე საბჭოთა კავშირის უძლიერესი მონარდეების მონაწილეობით აწყობს თბილისის ღია პირველობას მოკლე ნარდში. წინასწარ შესატანი თანხა 250 მანეთია. მონაწილეთა რეგისტრაცია ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში (კოსტავას, 36) დაიწყება 20 აპრილს და დამთავრდება 5 მაისს. რეგისტრაციაში გატარდებიან მხოლოდ ნარდის ეროვნული ფედერაციის წევრები. ორგანიზაციებს, რომლებიც თავიანთ თანამშრომლებს გაუწევენ სპონსორობას, თანხა შეუძლიათ ჩარიცხონ სნეფ-ის ანგარიშზე № 000609375. მთაწმინდის რაიონის ბინსოცბანკში.

## სნეფ-ის წევრთა საყურადღებოდ!

**ვისაც** ოფიციალურად გააჩნია თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა, ან ვისაც სპონსორობას გაუწევს რომელიმე ორგანიზაცია თუ ფირმა, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ბადენის თასის გათამაშებაში, რომელიც გაიმართება გერმანიის ქალაქ შტუტგარტში 31 მაისიდან 3 ივნისამდე. შესატანი თანხაა 850 ამერიკული დოლარი.

შესატანი ითვალისწინებს: ტურნირში მონაწილეობას, ცხოვრებას ოტელ „ევროპაში“ და საუზმეს.

მსურველებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს ნარდის ეროვნულ ფედერაციას 15 აპრილამდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, 9 აპრილის ქუჩა, 8, ტელ.: 93-71-87.

## ნარდის მსოფლიოს ფედერაცია გეპატიჟებათ!

**14-დან 21 ივლისამდე** ქალაქ მონტე-კარლოში ნარდის მსოფლიო ფედერაცია ატარებს მსოფლიო ჩემპიონატს, რომელიც გაიმართება ევროპის ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმრო „ლოევსში“. შესატანი თანხაა 2500 ამერიკული დოლარი.

გადასახადი ითვალისწინებს: ტურნირში მონაწილეობას, სასტუმროს ხარჯებს 8 დღე-ღამის განმავლობაში, საუზმეს და მოგზაურობას პარიზიდან მონტე-კარლომდე და უკან.

მსურველებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს ნარდის ეროვნულ ფედერაციას 15 აპრილამდე. მისამართი: თბილისი, 9 აპრილის ქუჩა, 8, ტელ.: 93-71-87.

**თბილისის „შევარდენის“ სტადიონი**
**(ბ. ხმელნიცკის ქ. №40)**

**31 მარტი ● ფეხბურთი**

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

**(უმაღლესი ჯგუფი)**

**„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „ოდიში“ (ზუგდიდი)**

დასაწყისი 16 საათსა და 30 წუთზე.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 10 საათიდან.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა უ. ჭიჭინაძე, კორექტორები: ც. ჩიტიშვილი და მ. ძეძამიძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54.
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20